



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 195/ს  
12/07/2022

195-21-4-202207121221



**საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფ. უზუნთას მიმდებარე ტერიტორიაზე, წელიწადში 1 000 000 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვების სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფ. უზუნთას მიმდებარე ტერიტორიაზე, წელიწადში 1 000 000 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფ. უზუნთას მიმდებარე ტერიტორიაზე და წარმოდგენილია ოთხ უბნად (3 წყარო და 1 გალერეა). პირველი უბნის (წყარო №1) აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან შეადგენს 1550 მ-ს, მეორე უბნის (წყარო №2) – 1519,7 მ-ს, მესამე უბნის (წყარო №3) – 1431,5 მ-ს, ხოლო მეოთხე უბნის (გალერეა) – 1429,5 მ-ს. წიაღითსარგებლობის ობიექტის GPS კოორდინატებია: პირველი უბანი – X-364469, Y-4700569; მეორე უბანი – X-364381, Y-4700448; მესამე უბანი – X-364092, Y-4699719; მეოთხე უბანი – X-364063, Y-4699674. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ სალიცენზიო ობიექტიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 2,5 კმ-ით. წიაღითსარგებლობის ობიექტის ოთხივე უბანი ხვდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, კერძოდ, საჩხერის სატყეო უბნის მოხვის სატყეოში (პირველი უბანი – კვარტალი №13, ლიტერი №9; მეორე უბანი – კვარტალი №13, ლიტერი №7; მესამე და მეოთხე უბნები – კვარტალი №21, ლიტერი №4). მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად, ასევე დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია კვეთს გეგმარებით დაცულ ტერიტორიას – „კვერეთის აღკვეთილს“.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სალიცენზიო ობიექტიდან გათვალისწინებულია წელიწადში 1 000 000 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება და ლიცენზიის გაცემის ვადად განსაზღვრულია 25 წელი. შესაბამისად, ლიცენზიის ფარგლებში მოსაპოვებელი მიწისქვეშა მტკნარი წყლის საერთო მოცულობა შეადგენს 25 000 000 მ<sup>3</sup> -ს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მორფოლოგიური თვალსაზრისით, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ზემო იმერეთის საშუალომთიან ზონაში და მოიცავს მდ. ვასკნარას მარცხენა ფერდობს, რომლის დახრილობა, ობიექტის უბნების ფარგლებში და მის

მიმდებარედ, არათანაბარია და საშუალოდ 20-40°-ის ინტერვალში მერყეობს. რელიეფი ეროზიულ-დენუდაციურია და დაღარულია პერიოდულად დენადი წყლის ნაკადების მიერ წარმოქმნილი ეროზიული ხევ-ხრამებით, ხოლო მიმდებარე ფერდობები დაფარულია ტყით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, წიაღითსარგებლობის ობიექტისა და მიმდებარე ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს შუა იურიული ასაკის (ბაიოსი) ტუფობრექჩიები, ტუფოქვიშაქვები, ტუფები, ქვიშაქვები და არგილიტები, აგრეთვე, კიმერიჯული სართულის (ფერადი წყება) თიხები, ტუფოქვიშაქვები და ტუფობრექჩიები, რომლებიც ზემოდან გადაფარულია თანამედროვე მეოთხეული ნალექებით – თიხებით, თიხნარით და კენჭნარით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას. საპროექტო ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე გართულებები მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ჰიდროგეოლოგიური დარაიონების თვალსაზრისით, წიაღითსარგებლობის ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება ნაპრაღური და ნაპრაღურ-კარსტული წყლების, რაჭა-ლეჩხუმის არტეზიული აუზის სისტემას. წყალშემცველი ჰორიზონტი წარმოადგენს ზედა ბაიოსური ნალექების წყალშემცველ კომპლექსს, რომელსაც ფართო გავრცელება აქვს განსახილველ არეალში. იგი წარმოდგენილია ტუფებით, ტუფოქვიშაქვებით, არგილიტებით, ტუფობრექჩიებით და ტუფოკონგლომერატებით, ლავური ბრექჩიებით და ფიქლებით. ქანები გამოირჩევიან მაღალი სიმკვრივით, რაც განაპირობებს კომპლექსის წყალგაუმტარობას. წყაროები ნაპრაღური ტიპისაა და დებიტები 0,01-2,5 ლ/წმ ფარგლებში მერყეობს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია შესწავლილია გეოლოგიური აგეგმვის ეტაპზე. წიაღითსარგებლობის ობიექტის ზუსტი დებიტი უცნობია. წელიწადში მოთხოვნილი 1 000 000 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობა წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით. მოპოვებული წყლის გამოყენება მოხდება კომუნალური და სოფლის წყალსადენებისთვის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ქიმიური შედგენილობით, წყლები ხასიათდება ჰიდროკარბონატულ-სულფატურ-ნატრიუმის, ან ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-კალციუმის-მაგნიუმის შემადგენლობით, ასევე, გვხვდება ქლორიდულ-კალციუმის-ნატრიუმის წყლებიც. მიწისქვეშა წყლების ტემპერატურა შეადგენს 10-17° C-ს და მათი სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, წყარო №1 საჭიროებს თავმორთულობის მოწესრიგებას და დაკაპტაჟებას, ხოლო წყარო №2-3 და გალერეა თავმორთულია რკინაბეტონის კაპტაჟით. ვინაიდან, წიაღითსარგებლობის ობიექტი უკვე მოწყობილია და საჭიროებს მხოლოდ თავმორთულობის მოწესრიგებას, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება არ იქნება დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებასთან და ახალი ტერიტორიების ათვისებასთან, რაც გამოიწვევდა გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედებას.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, არსებული სალიცენზიო ობიექტიდან მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება, გარემოს

დაბინძურებისა და ხმაურის გავრცელების კუთხით, არ იქნება დაკავშირებული მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ბუნებრივი რესურსებიდან გამოყენებული იქნება წყალი. წიაღით (წყლით) სარგებლობის სალიცენზიო პირობების განხორციელებით, რომელსაც ადგენს ლიცენზიის გამცემი ორგანო, დაგეგმილი საქმიანობა არ გამოიწვევს წყლის გარემოს დაბინძურებას.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიის ოთხივე უბანი, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, ხდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში. ამასთან, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია კვეთს გეგმარებით დაცულ ტერიტორიას – „კვერეთის ალკვეთილს“. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ვინაიდან წიაღითსარგებლობის ობიექტი არსებულია, არ საჭიროებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას და დამატებითი ტერიტორიების ათვისებას, დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-II დანართის, მე-2 პუნქტის, 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფ. უზუნთას მიმდებარე ტერიტორიაზე, წელიწადში 1 000 000 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და საჩხერის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

*თ. ფიცხელაური*

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო